საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
აღსრულების ეროვნული ბიურო
თბილისის სააღსრულებო ბიურო

საქართველო, თბილისი 0131, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–10 კმ; ტელ: +(995 32) 274 96 49; ელ.ფოსტა: info@nbe.gov.ge; ვებ-გვერდი: www.nbe.gov.ge

A20062441

კოდი: 82985094148145

თარიღი: 13-08-2020
მოვალე: შპს დავიდე
პირადი ნომერი: 406232036
მისამართი: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, ვიქტორ კუპრაძის ქ., N18, სართული I
საკონტაქტო ინფორმაცია:

A20062441-005/001

13.08.2020

შეტყობინება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ

თბილისის სააღსრულებო ბიურო-ს წარმოებაშია **A20062441** სააღსრულებო საქმე **ადგილობრივი თვითმართველი ერთეული (მერია)**-ს მიერ გაცემული **4-5/ს.ფ-583-20** სააღსრულებო ფურცელი იძულებითი აღსრულების შესახებ.

სააღსრულებო ფურცლის მიხედვით, **ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი**-ს საფუძველზე დაკისრებული გაქვთ ჯარიმის და/ან საურავის სახით **15000** ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ასევე "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-6 პრიმა პუნქტის თანახმად აღსრულების საფასური **1050** ლარი.

სულ ჯამში გადასახდელი თანხა შეადგენს 16050 ლარს.

"სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, გეგზავნებათ შეტყობინება ნებაყოფლობით, 7 (შვიდი) დღის ვადაში შეასრულოთ ზემოთ აღნიშნული მოთხოვნა და დაკისრებული თანხა ჩარიცხოთ აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე:

მიმღების დასახელება: სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო
საიდენტიფიკაციო კოდი: 205263873
მიმღების ბანკი: სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE41BG0000000222222222
გადახდის დანიშნულება/იდენტიფიკატორი: 2014273654
აუცილებლად სწორედ მიუთითეთ გადახდის იდენტიფიკატორი 2014273654 (წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი გადახდის ავტომატურად ასახვა ვერ განხორციელდება) და სხვა ინფორმაცია (ბიუროს წინაშე ვალდებული პირის სახელი, გვარი და პირადი ნომერი, წერილის ნომერი, სააღსრულებო ფურცლის ნომერი, გადასახდელის დახასიათება.

თანხის გადახდა ასევე შესაძლებელია აღსრულების ეროვნული ბიუროს ვებ. გვერდიდან www.nbe.gov.ge (ვებ-გვერდზე განთავსებულია ონლაინ გადახდა. შესვლის შემდეგ, შეიყვანთ გადახდის ნომერს (იდენტიფიკატორს) სხვა მონაცემები შეივსება ავტომატურად).

თუ თქვენს მიერ, დაკისრებული თანხა გადახდილია კანონით დადგენილ ვადაში, წარმოადგინეთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. წარმოდგენილ ქვითარში მითითებულ უნდა იქნეს საქმის ნომერი, რის საფუძველზეც მოხდა თანხის გადახდა.

გადაწყვეტილების ნებაყოფლობით კანონმდებლობით დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში დაგეკისრებათ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით გაწეული ქონების შენახვისა და ტრანსპორტირების ხარჯი.

"სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 19[1] მუხლის შესაბამისად თქვენ რეგისტრირებული ხართ მოვალეთა რეესტრში, რის შედეგადაც შეგეზღუდათ შესაბამის რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებული უძრავი და მოძრავი ქონების და სხვა არამატერიალური ქონებრივი სიკეთის განკარგვის (უფლებრივად დატვირთვის) უფლება. თქვენზე დაკისრებული ვალდებულების სრულად შესრულების შემთხვევაში ამოირიცხებით მოვალეთა რეესტრიდან და მოიხსნება თქვენს მიმართ დაწესებული შეზღუდვები.

გაფრთხილებთ, რომ თქვენს (თქვენი ქონების) მიმართ განხორციელდება "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები - აღიწერება, დაყადაღდება და შეფასდება აღსრულების საგანი; ქონებაზე ყადაღის დადებიდან 1 თვის ვადაში ჩატარდება პირველი იძულებითი აუქციონი, რომელზეც ქონების საწყისი ფასი შეადგენს ქონების შეფასების აქტში მითითებული საბაზრო ღირებულების 75%; იმ შემთხვევაში თუ პირველ აუქციონზე არ გამოვლინდა გამარჯვებული პირი, ან თუ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ქონების ფასი არ გადაიხადა ამ კანონით დადგენილ ვადაში, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია აუქციონის დასრულებიდან 15 დღის ვადაში გამოსცეს სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში ქონების ნატურით გადაცემის შესახებ განკარგულება, რომელიც გადაეცემა ქონების მართვაზე/განკარგვაზე უფლებამოსილ ორგანოს ან ეგზავნება მარეგისტრირებელ ორგანოს ამ ქონებაზე სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრების რეგისტრაციის მოთხოვნით. თუ განკარგულება არ გამოიცა აღნიშნულ ვადაში, აღსრულების ეროვნული ბიურო უზრუნველყოფს პირველი განმეორებითი აუქციონის (თუ პირველ აუქციონზე არ გამოვლინდა გამარჯვებული პირი) ან ხელახალი აუქციონის (თუ გამარჯვებულმა პირმა ამ კანონით დადგენილ ვადაში არ გადაიხადა ქონების ფასი) ჩატარებას. პირველ განმეორებით აუქციონზე სარეალიზაციო ქონების საწყისი ფასი შეადგენს ქონების შეფასების აქტში მითითებული საბაზრო ღირებულების 50%. თუ ნივთის რეალიზაცია პირველ განმეორებით აუქციონზედაც არ მოხდა, ან თუ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ქონების ფასი არ გადაიხადა "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ვადაში, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია აუქციონის დასრულებიდან 15 დღის ვადაში გამოსცეს სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში ქონების ნატურით გადაცემის შესახებ განკარგულება, რომელიც გადაეცემა ქონების მართვაზე/განკარგვაზე უფლებამოსილ ორგანოს ან ეგზავნება მარეგისტრირებელ ორგანოს ამ ქონებაზე სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრების რეგისტრაციის მოთხოვნით. თუ განკარგულება არ გამოიცა აღნიშნულ ვადაში, აღსრულების ეროვნული ბიურო უზრუნველყოფს მეორე განმეორებითი აუქციონის (თუ პირველ განმეორებით აუქციონზე არ გამოვლინდა გამარჯვებული პირი) ან ხელახალი აუქციონის (თუ გამარჯვებულმა პირმა ამ კანონით დადგენილ ვადაში არ გადაიხადა ქონების ფასი) ჩატარებას. მეორე განმეორებით აუქციონზე სარეალიზაციო ქონების საწყისი ფასი შეადგენს ქონების შეფასების აქტში მითითებული საბაზრო ღირებულების 5%. თუ ნივთის რეალიზაცია მეორე განმეორებით აუქციონზედაც არ მოხდა, ან თუ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ქონების ფასი არ გადაიხადა "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ვადაში, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია აუქციონის დასრულებიდან 15 დღის ვადაში გამოსცეს სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში ქონების ნატურით გადაცემის შესახებ განკარგულება, რომელიც გადაეცემა ქონების მართვაზე/განკარგვაზე უფლებამოსილ ორგანოს ან ეგზავნება მარეგისტრირებელ ორგანოს ამ ქონებაზე სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრების რეგისტრაციის მოთხოვნით. თუ განკარგულება არ გამოიცა აღნიშნულ ვადაში.

თუ ქონების საბაზრო ღირებულება 5000 ლარზე ნაკლებია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ტარდება მხოლოდ ერთი აუქციონი, რომელზეც ქონების საწყისი ფასი შეადგენს ქონების შეფასების აქტში მითითებული საბაზრო ღირებულების 5%. თუ ასეთი წესით ჩატარებულ აუქციონზე არ გამოვლინდა გამარჯვებული პირი, ან თუ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ქონების ფასი არ გადაიხადა ამ კანონით დადგენილ ვადაში, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია აუქციონის დასრულებიდან 15 დღის ვადაში გამოსცეს სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში ქონების

ნატურით გადაცემის შესახებ განკარგულება, რომელიც ეგზავნება მარეგისტრირებელ ორგანოს ამ ქონებაზე სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრების რეგისტრაციის მოთხოვნით. თუ განკარგულება არ გამოიცა აღნიშნულ ვადაში.

თქვენი კუთვნილი ქონების ინტერნეტ აუქციონი განთავსდება საიტზე www.eauction.ge)

ამ წინადადების მიღებისთანავე, გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებასთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ გვაცნობეთ თქვენი პოზიციის შესახებ. <u>იძულებითი აღსრულების ცალკეულ ღონისძიებათა შესახებ წინასწარ, პერსონალურად, დამატებით არ გეცნობებათ.</u> მათი მიმდინარეობის დროის, ადგილისა და მდგომარეობის შესახებ თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ დეტალური ინფორმაცია აღსრულების ეროვნული ბიუროს ოფიციალურ ვებ გვერდიდან: www.nbe.gov.ge (ვებ-გვერდზე განთავსებულია სააღსრულებო საქმისწარმოების ელექტრონული რეესტრი. რეესტრში შესვლის შემდეგ, სააღსრულებო წარმოების სანახავად უნდა შეიყვანოთ ამ დოკუმენტის შტრიხ კოდის ქვემოთ მითითებული რეგისტრაციის 8 ციფრიანი ნომერი და ინდივიდუალური 14 ნიშნა კოდი), ამასთანავე ამავე ვებ გვერდიდან შეგიძლიათ მიიღოთ ინფორმაცია გამოცხადებული აუქციონების შესახებ.

"სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად „იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების დღიდან დაუშვებელია აუქციონის (სააღსრულებო წარმოების) შეწყვეტა, შეჩერება, გადადება, ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება, ამ კანონის 35-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით სააღსრულებო ფურცლის/აღსასრულებელი გადაწყვეტილების დაბრუნება. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით პროკურორი აღსრულების ბიუროს წარუდგენს დასაბუთებულ წერილობით მოთხოვნას ან განსაკუთრებული ვითარების გამო ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე. ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ,,მოვალე ან სხვა პირი უფლებამოსილია გადაიხადოს საფასურის, აღსრულების ხარჯის, კრედიტორის მოთხოვნის დასაფარად საჭირო თანხა იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადებამდე“.

"სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 63^2–ე მუხლის თანახმად, მოვალეს, რომლის მიმართაც დაწყებულია სააღსრულებო წარმოება თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებით, უფლება აქვს, მიმართოს აღმასრულებელს და მოსთხოვოს მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე წინმსწრები სააუქციონო მომსახურების გაწევა. ასეთი მოთხოვნა უნდა შეიცავდეს სარეალიზაციო ქონების ზუსტ აღწერილობას და ამ ქონების საწყის ფასს, რომელსაც განსაზღვრავს თავად მესაკუთრე და რომელიც არ უნდა იყოს აღსასრულებელი მოთხოვნის, აღსრულების საფასურის, აღსრულების ხარჯებისა და სააუქციონო მომსახურების საფასურის ჯამზე ნაკლები. აღმასრულებელი ვალდებულია შეასრულოს წინმსწრები სააუქციონო მომსახურების გაწევის შესახებ მოთხოვნა. ეს მოთხოვნა აღმასრულებელს წერილობით წარედგინება. მას უნდა დაერთოს სააუქციონო მომსახურების საფასურის (100 ლარი) გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. წინმსწრები სააუქციონო მომსახურების გაწევის შესახებ მოთხოვნას ასევე უნდა დაერთოს ამ მოთხოვნით მიმართვამდე არაუმეტეს 2 სამუშაო დღით ადრე განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან სარეალიზაციო უძრავი ქონების შესახებ და ამ ქონების აღწერილობის ამსახველი მასალა (ფოტოები, ნახაზები, რეალიზაციის ხელშეწყობისათვის აუცილებელი სხვა ინფორმაცია). მოვალის მიერ წარდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის სისწორისა და ნამდვილობისათვის პასუხისმგებელია თავად მოვალე. წინმსწრები სააუქციონო მომსახურების გაწევის შესახებ აღმასრულებლისათვის წარდგენილი მოთხოვნა კმაყოფილდება მისი წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო მომდევნო 2 სამუშაო დღის განმავლობაში დადგენილი წესით ცხადდება აუქციონი. თუ აღნიშნული მოთხოვნა წარდგენილია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაუცველად, აღმასრულებელი ვალდებულია მოთხოვნის წარმდგენ პირს აცნობოს ნაკლოვანების შესახებ, ნაკლოვანების ზუსტი მითითებით, და მოსთხოვოს მისი 3 სამუშაო დღის ვადაში აღმოფხვრა. ნაკლოვანების ამ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში აღნიშნული მოთხოვნა განუხილველი რჩება, რაც იმავე პირს არ ართმევს უფლებას, ხელმეორედ წარადგინოს იგივე მოთხოვნა სათანადო ვადის გათვალისწინებით. ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად განსაზღვრული ვადა აითვლება მოვალისათვის წერილობითი შეტყობინების ჩაბარების დღიდან, რაც ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით. ასეთი ვადის დაწესების შესახებ აღმასრულებლის წერილობითი გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აისახება საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში. მოვალეს უფლება აქვს, ნაკლოვანების აღმოფხვრის ვადის განმავლობაში მოითხოვოს ამ ვადის არაუმეტეს 2 სამუშაო დღით გაგრძელება. ეს მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს. წინმსწრებ აუქციონზე ქონების საწყის ფასად განისაზღვრება მოვალის მიერ წინმსწრები სააუქციონო მომსახურების შესახებ მოთხოვნაში მითითებული ფასი. წინმსწრები აუქციონი ერთხელ ტარდება და მისი უშედეგოდ დასრულება არ წარმოშობს აუქციონის ხელმეორედ ან დამატებით ჩატარების ვალდებულებას. წინმსწრები აუქციონის ჩატარების შესახებ მოთხოვნის წარდგენა დასაშვებია აღსრულების დაწყების შესახებ მოვალის დადგენილი წესით ინფორმირების დღიდან მომდევნო 15 კალენდარული დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ წინმსწრები აუქციონის ჩატარება დასაშვებია მხოლოდ კრედიტორის წინასწარი წერილობითი თანხმობით. წინმსწრები აუქციონის ჩატარება დასაშვებია ერთი სააღსრულებო წარმოების ფარგლებში მხოლოდ ერთხელ და ამ უფლების ყოველი შემდგომი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ კრედიტორის წერილობითი თანხმობით. "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 40^1-ე მუხლის თანახმად, თუ სააღსრულებო წარმოება მიმდინარეობს

თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე არაუზრუნველყოფილი კრედიტორის სასარგებლოდ, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია გაათავისუფლოს მოვალის მოძრავი ქონება ყადაღისაგან იმ შემთხვევაში, თუ მოვალე დაფარავს მოძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას ამ ქონებაზე იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადებამდე. თუ ყადაღადადებულ მოძრავ ქონებაზე რეგისტრირებულია გირავნობა (მათ შორის, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა) სხვა პირის/პირების სასარგებლოდ, ამ მუხლით დადგენილი წესით ყადაღის მოხსნის მიუხედავად, გირავნობა უცვლელი რჩება. გათვალისწინებულ შემთხვევებში მოვალის განცხადების საფუძველზე მოძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას ადგენს აღსრულების ეროვნული ბიურო ან აღსრულების ეროვნული ბიუროს დავალებით სხვა კომპეტენტური პირი. მოვალე უფლებამოსილია მოძრავი ქონების ყადაღისაგან განთავისუფლების შესახებ განცხადებას დაურთოს სააღსრულებო წარმოების დაწყებამდე 6 თვის განმავლობაში გაცემული კომპეტენტური პირის ან ორგანოს დასკვნა ქონების საბაზრო ღირებულების შესახებ, რომლის დასაშვებობის საკითხს წყვეტს აღსრულების ეროვნული ბიურო. განსაზღვრული წესებით მოვალის მოძრავი ქონების ყადაღისაგან განთავისუფლების შემთხვევებში ამ ქონებაზე ამავე სააღსრულებო წარმოების ფარგლებში აღსრულება არ დაიშვება, ხოლო მოვალის მიერ გადახდილი ქონების საბაზრო ღირებულება ჩაითვლება აღსასრულებელი მოთხოვნის შესრულებულ ნაწილად. აქვე გაეცანით "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით მხარეებისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს:

კრედიტორსა და მოვალეს უფლება აქვთ დაესწრონ აღსრულების მიმდინარეობას, გაეცნონ სააღსრულებო მასალებს, მიიღონ აუცილებელი ცნობები გარდა კომერციული (საგადასახადო და საბანკო) საიდუმლოების შემცველი და სხვა კონფიდენციალური ინფორმაციისა, რომლებიც შეეხება აღსრულებას, მორიგდნენ, იდავონ ქონების კუთვნილებაზე ან მის ფასზე, აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგინონ რეალიზაციას დაქვემდებარებული ქონების შეძენით დაინტერესებული პირები, გაასაჩივრონ აღმასრულებლის მოქმედება აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან ასეთი მოქმედების განხორციელებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში ან პირდაპირ სასამართლოში ასეთი მოქმედების განხორციელებიდან 1 თვის ვადაში, გაასაჩივრონ საჩივართან დაკავშირებით მიღებული აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის გადაწყვეტილება მისი ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში, კრედიტორი და მოვალე აღსრულების პროცესში მორიგების შემთხვევაში აღსრულების ეროვნულ ბიუროს გადასცემენ მორიგების შესახებ წერილობით შეთანხმებას, რომელსაც იგი 3 დღის ვადაში სააღსრულებო წარმოების მხარეთა მორიგების დამტკიცების საკითხის გადასაწყვეტად უგზავნის იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც მიმდინარეობს აღსრულება, ხოლო თუ აღსრულება ერთდროულად მიმდინარეობს ერთზე მეტი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიებზე – ერთ-ერთ სასამართლოს. კრედიტორს და მოვალეს უფლება აქვთ აღსრულების გადადების, განწილვადების შესახებ ან აღსრულებასთან დაკავშირებული სხვა მოქმედებების თაობაზე მიმართონ სასამართლოს.

გაფრთხილებთ, რომ თქვენი მხრიდან აღმასრულებლის კანონიერი მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა, თავის არიდება ან აღსრულების პროცესისთვის რაიმე სახის ხელშეშლის მცდელობა ვერ შეაფერხებს იძულებით აღსრულებას და შესაძლებელია მსგავსი ქმედებისათვის დაგეკისროთ კანონმდებლობით გათვლისწინებული პასუხისმგებლობა.

"სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული აღმასრულებლის მოთხოვნები შესასრულებლად სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახურს: (+995 32) 274-96-49

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

აღმასრულებელი: **ლონდა მიქაბერიძე**

აღსრულების ეროვნული ბიურო
NATIONAL BUREAU OF ENFORCEMENT

თბილისის სააღსრულებო ბიურო

საქმე **A20062441**

08/1

ადმინისტრაციული ჯარიმა

ცნობა

(სააღსრულებო წარმოების დამთავრების შესახებ)

კრედიტორ(ებ)ი

სახელმწიფო ბიუჯეტი (0) .

მოვალე(ები)

შპს დავიდე (406232036) საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, ვიქტორ კუპრაძის ქ., N18, სართული I.

დამთავრების საფუძველი _____

ფურცლების რაოდენობა _____

აღმასრულებელი
ნინო სანიშვილი
04 სექ 2020

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-5/ს.ვ.-583-20
"06" 08 2020 წ.
დადგენილება №000174

სააღსრულებო ფურცელი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ინსპექცია
სააღსრულებო ფურცლის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო

11.02.2020 წელი
დადგენილების გამოტანის თარიღი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურმა ინსპექციამ განიხილა სამშენებლო სამართალდარღვევის საქმე შპს "დავიდე"-ს მიმართ პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის (მის: ქ. თბილისში, ვარკეთილი-2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის, ნაკვეთი №14/140, საკ. კოდი №01.19.36.014.593-ში) მშენებლობასთან დაკავშირებით.

www.recoverytools.com

დადგენილების სარეზოლუციო ნაწილი

დადგინდა:

შპს "დავიდე"-ს დაეკისროს ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხადოს ჯარიმა 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით, პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის.

დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლის თარიღი: 13.02.2020წ.

ქ. თბილისი 0160. ჟ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

კრედიტორის დასახელება და რეკვიზიტები: სახელმწიფო ბიუჯეტი;

ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო; მიმღების ბანკი – სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი – **TRESGE22**; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი – 300773263; გადახდის დანიშნულება – დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის შესახებ.

მოვალის დასახელება და რეკვიზიტები: შპს "დავიდე", ს/ნ 406232036;
მის: თბილისი, სამგორის რაიონი, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა 18, სართული I.

სააღსრულებო ფურცლის გაცემის თარიღი: 06.08.2020წ.

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე

მამუკა ჯაყელი

www.recoverytools.com

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

2020 წ

დადგენილება №000174
სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

11.02.2020წ.

ქ. თბილისი, ქ. შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2020 წლის 28 იანვრის №000174 მითითება და 2020 წლის 10 თებერვლის №000174 შემოწმების აქტი, შედგენილი შ.პ.ს. „დავიდე"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი №406232036, დირ. დავით ჭუმბურიძე (პირადი №62001018116), მის: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ვიქტორ კუპრაძის ქ. №18, სართული I) მიმართ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ვარკეთილი-2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის, ნაკვეთი №14/140, საკ. კოდი №01.19.36.014.593-ში შ.პ.ს. „დავიდე"-ს მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სექტორი 1, ბლოკი ა) მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4460819 AR1667813 24.04.2019წ. №4790807 AR1721803 13.12.2019წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით:

www.recoverytools.com

ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია ფანჯრების ვიზუალი. აივნებზე შეცვლილია ლითონის მოაჯირების ვიზუალი. 1-1 ღერძზე, ფასადზე დამატებით მოწყობილია ღიობები. შენობაში დამატებით მოწყობილია რიგელები. შენობასთან, რელიეფი არ შეესაბამება საპროექტოს. 0.00 ნიშნულზე 3-2 მონაკვეთში სადარბაზოებთან შესასვლელებში, გაზრდილია ბაქნების გაბარიტები და შემცირებულია საფეხურების რაოდენობა. სადარბაზოებში ნაწილობრივ მონაცვლებულია ბინებში შესასვლელი კარებების ადგილმდებარეობა. ასევე დამატებით მოწყობილია კარებები. გაზრდილია ბინების რაოდენობა. კიბის უჯრედებში 2-2 ფილებში გაუქმებულია საკომუნიკაციო ღიობები. სადარბაზოებში, კიბის უჯრედებთან დამატებით მოწყობილია ღიობები. კიბის უჯრედებში შეცვლილია საფეხურების რაოდენობა. შენობის სახურავზე 19.8 ნიშნულზე კონსოლურ ფილებზე დამატებით მოწყობილია კაპიტალური პარაპეტები. 0.00 ნიშნულის ქვევით დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები, კოლონები, რიგელები, კიბის და ლიფტის უჯრედები, გაზრდილია ფართი.

0160. ქ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

2020 წლის 28 იანვარს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 124-ე მუხლის შესაბამისად, შედგენილი №000174 მითითებით სამართალდამრღვევს განესაზღვრა 25 კალენდარული დღის ვადა ობიექტის შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2020 წლის 10 თებერვალს საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000174, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა.

საქმეშია, შ.პ.ს. „დავიდე"-ს №10/01200313008-17 31.01.2020წ. განცხადება, რომლითაც მხარე ეთანხმება 2020 წლის 28 იანვრის №000174 მითითებით დაფიქსირებულ დარღვევებს და მოთხოვნილია კანონით გათვალისწინებული ზომების გატარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს. „დავიდე"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ვარკეთილი-2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის, ნაკვეთი №14/140, საკ. კოდი №01.19.36.014.593-ში შ.პ.ს. „დავიდე"-ს მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სექტორი 1, ბლოკი ა) მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4460819 AR1667813 24.04.2019წ. №4790807 AR1721803 13.12.2019წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ," საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით

www.recoverytools.com

დავადგინე:

1. შ.პ.ს. „დავიდე" დაჯარიმდეს 15000 (თხუთმეტიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. „დავიდე"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამშენებლო სამართალდარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს სამშენებლო სამართალდარღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში;

საჯარიმო თანხა ხაირიცხის შემდეგ ანგარიშზე - მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო. მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **TRESGE22**, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე:

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. „დავიდე"-ს დაეკისროს. შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამშენებლო სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში (დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში), სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამშენებლო სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი 3 თვის შემდეგ სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჭ. შარტავას ქ. №7).

www.recoverytools.com

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე

მ. ჯაყელი

საგადახდო დავალება
Payment Order

1 | GEL | ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 03/09/2020

გადამხდელი / Sender

შპს დავიდე, 406232036

რეფერენსი / Ref. Num.

3746181249

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE86TB7681636050100002

თანხა / Amount

16,050.00 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank

სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code

TBCBGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name შპს დავიდე, 406232036

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 406232036

თანხა სიტყვიერად
Amount in words

თექვსმეტი ათას ორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი

მიმღები / Receiver

აღსრულების ეროვნული ბიურო

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code GE41BG0000000222222222

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი / Bank Code

BAGAGE22

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი
Document submission/receiving date

03/09/2020

გადახდის დანიშნულება / Operation Details

სააღსრულებლო საქმე: A20062441, საინკასო დავალება: BR20196801, გადახდის კოდი: 2014273654

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

სრული დაფარვა, რიგითი # 1, ინკასო # BR20196801, 12/08/2020, განაღდებული თანხა: 16050.00, დარჩენილი ნაშთი: 0.00

ხელმოწერა
Signature

დასტამპულია ინტერნეტ ბანკით
თიბისი ბანკი TBC BANK
PRINTED VIA INTERNET BANKING

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.